# აღქმული სოციალური მხარდაჭერის მოდერაციული როლი ემოციურ რეგულაციასა და სოციალურ შფოთვას შორის კავშირში ADHD-ს ნიშნების მქონე მოზარდებში.

**მარიამ ზერიკაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

06.06.2025

# აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაედგინა აღქმული სოციალური მხარდაჭერის მოდერაციული როლი ემოციური რეგულაციისა და სოციალური შფოთვის ურთიერთკავშირში ADHD-ს მსგავსი მახასიათებლების მქონე მოზარდებში. კვლევაში შესწავლილ იქნა, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალური მხარდაჭერის არსებობით ემოციური რეგულაციის დეფიციტის უარყოფითი გავლენის შემცირება სოციალური შფოთვის დონეზე. მოცემული კვლევის მთავარი ჰიპოთეზები იყო: (1) მაღალი სოციალური მხარდაჭერის შემთხვევაში ემოციურ რეგულაციის სირთულეებსა და სოციალურ შფოთვას შორის კავშირი უფრო სუსტია და (2) დაბალი აღქმული სოციალური მხარდაჭერა აძლიერებს ემოციური რეგულაციის დეფიციტსა და სოციალურ შფოთვას შორის კავშირს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 127-მა მოზარდმა, 12-დან 18 წლის (საშუალო ასაკი = 15.22, Sd = 1.680) ჩათვლით, რომელთაც ელექტრონულად google forms-ის საშუალებით გადაეგზავნათ კითხვარები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე არც ერთი ჰიპოთეზა არ დადასტურდა. Adhd-ს ნიშნებს, ემოციურ რეგულაციას, სოციალურ შფოთვასა და აღქმულ სოციალურ მხარდაჭერას შორის არ გამოვლინდა კორელაციური კავშირი და შესაბამისად, არ მოხდა რეგრესიული ანალიზის განხორციელება.

## Abstract

The aim of the study was to determine the moderating role of perceived social support in the relationship between emotional regulation and social anxiety in adolescents with ADHD-like characteristics. The study examined whether the presence of social support can reduce the negative impact of emotional regulation deficits on social anxiety levels. The main hypotheses of this study were: (1) in the case of high social support, the relationship between emotional regulation difficulties and social anxiety is weaker and (2) low perceived social support strengthens the relationship between emotional regulation deficits and social anxiety.

127 adolescents, aged 12 to 18 years (mean age = 15.22, SD = 1.680), participated in the study, who submitted questionnaires electronically via Google Forms.

Based on the results of the study, none of the hypotheses were confirmed. No correlation was found between ADHD symptoms, emotional regulation, social anxiety, and perceived social support, and therefore, no regression analysis was performed.

## მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო დახმარებისა და გაწეული შრომისათვის ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს. მისი რეკომენდაციები და რჩევები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის სწორად წარმართვასა და დასრულებაში.

ასევე დიდი მადლობა, ჩემი კვლევის რესპოდენტებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გვერდით მედგა და მამხნევებდა კვლევაზე მუშაობისას. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის განხორციელება და გარკვეულ შედეგებზე საუბარი.